MFA of Georgia
Digitally signed by MFA of Georgia
Date: 2024.01.22 14:51:15 +04'00'

ხელშეკრულება № 47

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლების მოპოვების შესახებ

ქ. თბილისი **2024 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (ს/ნ 203836322) წარმოდგენილი მისი მინისტრის მოადგილის ვლადიმერ კონსტანტინიდის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, „სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“ ს/ნ 205393689 (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი უფროსის ვიქტორ წილოსანის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების და ადმინისტრაციული დეპარტამენტის 9 იანვრის 557-01 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე):

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული შემსყიდველის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის დედაქალაქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალურად გამოყოფილ პარკირების ადგილებით 12 თვის ვადით სარგებლობის უფლების მოპოვება კლასიფიკატორის კოდი (CPV კოდი: 63712400).

1.2 პარკირების უფლება წარმოიშვება შემსყიდველის მიერ პარკირების საფასურის გადახდის მომენტიდან და მოქმედებს 12 (თორმეტი) თვის ვადით (გადახდის მომენტიდან, სარგებლობის უფლების ვადის ამოწურვამდე) განმავლობაში.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2350.00 (ორი ათას სამას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს (დღგ-ის გარეშე).

2.2 ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის პარკირების საფასური, შეადგენს 50.00 (ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს (დღგ-ის გარეშე).

2.3 პარკირების საფასურის გადახდა ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების წესით, ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ერთჯერადი გადახდით, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, რის შესახებაც უნდა ეცნობოს მიმწოდებელს შესაბამისი საგადახდო დავალების გაგზავნით, რის შემდეგაც მოხდება პარკირების საფასურის გააქტიურება.

2.4 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის 3^1 და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მიმწოდებელი გათავისუფლებულია წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისგან.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ ერთმანეთს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

3.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

3.3 დანართი №1-ით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებებზე მონაცემების შეცვლის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია წერილობით 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მოითხოვოს პარკირების საფასურის გადატანა.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია 3.3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ცვლილება.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

4.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2 შემსყიდველის მიერ პარკირების საფასურის გადახდის გარეშე პარკირების ადგილებით სარგებლობა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისიწნებულ პასუხისმგებლობას.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

6.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

6.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7 სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

7.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია (დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.)

7.5 ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს და მიღება/ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირები იქნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომლები: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ედუარდ ალიკიანი და ამავე სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვახტანგ ჭინჭარაული ან/და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვასილ გოგუა.

8 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

მიმწოდებელი:	შემსყიდველი:
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საიდენტიფიკაციო კოდი: 203836322 იურიდ. მის: ქ. თბილისი, შ. ჩიტაძის ქ.4 ტელ.: (995 32) 2 94 50 00 სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ა/ა28010101 მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი	„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7 საიდ. კოდი: 205393689 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 საბიუჯეტო შემოს. სახაზინო კოდი: 751237499 სააგენტოს უფროსი /ვიქტორ წილოსანი/

დანართი №1

ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სია

№	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარკა და მოდელი	სახელმწიფო ნომერი, შიდა ტრანზიტი, ტრანზიტული ნომერი ან „TEST“ ნომერი
1	ტოიოტა ლენდკრუიზერი	GG191LG
2	ტოიოტა ქამრი	TT987QT
3	ფორდ ექსპლორერი	QU807UQ
4	ტოიოტა ქამრი	QR571QR
5	შკოდა სუპერბ	AH388HA
6	მერსედეს ბენცი	WW088WV
7	ჰიუნდაი H350	TC881CT
8	ჰიუნდაი H350	TC882CT
9	მერსედეს ბენცი	JJ090EE
10	ჰიუნდაი ელანტრა	ZE521EZ
11	ჰიუნდაი ელანტრა	ZE522EZ
12	ჰიუნდაი ელანტრა	ZE523EZ
13	ჰიუნდაი ელანტრა	ZE524EZ
14	ტოიოტა პრადო	ZE527EZ
15	ტოიოტა ქამრი	ZE531EZ
16	ტოიოტა კოროლა	HM583MM
17	ტოიოტა ჰაიესი	ZE536EZ
18	ჰიუნდაი სონატა	ZE526EZ
19	ტოიოტა ქამრი	ZE532EZ
20	ტოიოტა ქამრი	ZE534EZ
21	ფორდ ტრანზიტი	ZE537EZ
22	ფოლცვაგენ ჯეტა	HM582MM
23	ტოიოტა ქამრი	VQ303QV
24	ტოიოტა ქამრი	TT807FF
25	მერსედეს ბენც ვიტო	UE919UE
26	ტოიოტა ქამრი	JJ848PP
27	ტოიოტა კოროლა	KK808HH
28	ტოიოტა ქამრი	KK262XK
29	ტოიოტა ქამრი	KK464XK
30	ტოიოტა კოროლა	DW475WD
31	ფორდ კურიერი	DW473WD
32	ტოიოტა კოროლა	BI969II
33	ჰიუნდაი ტუქსონი	EE147OO
34	მერსედეს ბენცი	MM523MC
35	ლექსუს GX460	TB348BB
36	ფიატ ტიპო	FS327SS
37	ფიატ ტიპო	FS328SS
38	ფიატ ტიპო	FS329SS
39	ფიატ ტიპო	FS330SS
40	ფიატ ტიპო	FS331SS
41	ფიატ ტიპო	FS332SS
42	ბმვ 730	LH453LH
43	კია სპორტაჟე	DC854DC
44	ლექსუს ES250	US770UU
45	ჰიუნდაი სტარია	FP345FP
46	შკოდა სუპერბ	QR572QR
47	შკოდა კოდიაქი	ZE539EZ